(საოპერაციო ნომერი 37801)

სასესხო ხელშეკრულება

(ბორჯომის წყალმომარაგების პროექტი)

საქართველოს

და

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს
შორის

თარიღი: 1 დეკემბერი, 2008

სარჩევი

მუხლი I - სტანდარტული პირობები; განსაზღვრებები 2
პუნქტი 1.01 სტანდარტული პირობების გათვალისწინება. 2
პუნქტი 1.02. განსაზღვრებები 3
პუნქტი 1.03. ინტერპრეტაცია 5

მუხლი II - სესხის ძირითადი პირობები 5
პუნქტი 2.01. თანხა და ვალუტა 5
პუნქტი 2.02. სესხის სხვა ფინანსური პირობები 5
პუნქტი 2.03. ტრანშები 6
პუნქტი 2.04. უფლებამოსილი წარმომადგენელი ტრანშისათვის 6

მუხლი III - პროექტის განხორციელება 7
პუნქტი 3.01 პროექტის სხვა განსაკუთრებული პირობები 7

მუხლი IV - შეჩერება; სესხის დაფარვის პერიოდის შემცირება 9
პუნქტი 4.01. შეჩერება 9
პუნქტი 4.02. სესხის გადახდის ვადის შემცირება 10

მუხლი V - ძალაში შესვლა 10
პუნქტი 5.01. სესხის ძალაში შესვლის წინაპირობები 10
პუნქტი 5.02. სამართლებრივი დასკვნები 11
პუნქტი 5.03. შეწყვეტა ძალაში არ შესვლის შემთხვევაში 11

მუხლი VI - სხვადასხვა 11
პუნქტი 6.01. შეტყობინებები 12

დანართი 1 - პროექტის აღწერა 1

დანართი 2 - კატეგორიები და ტრანშები 2

სასესხო ხელშეკრულება

ხელშეკრულება დათარიღებული 2008 წლის 1 დეკემბერს საქართველოს ("სესხის მიმღები"), **რომელიც** წარმოდგენილია **ფინანსთა სამინისტროს სახით, და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს** ("ბანკი") **შორის.**

პრეამბულა

ვინაიდან, ბანკი დაარსებულია რათა უზრუნველყოს კონკრეტული პროექტების დაფინანსება ღია ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლის და კერძო და სამეწარმეო ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც მიმართავენ და იყენებენ მრავალპარტიული დემოკრატიის, პლურალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს;

ვინაიდან, სესხის მიმღებს განზრახული აქვს განახორციელოს პროექტი დანართი 1-ის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის გაუმჯობესებას ბორჯომის მუნიციპალიტეტში;

ვინაიდან, პროექტი განხორციელდება შპს "ბორჯომის წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობის მიერ ("საპროექტო ორგანიზაცია"), რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და რომლის მფლობელია სესხის მიმღები, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროთი ("ეკონომიკური განვითარების სამინისტრო");

ვინაიდან, სესხის მიმღებისა და საპროექტო ორგანიზაციის მიერ პროექტის განმახორციელებელ სააგენტოდ განისაზღვრა მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF);

ვინაიდან, სესხის მიმღებმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა და საპროექტო ორგანიზაციამ მოითხოვეს დახმარება ბანკისაგან პროექტის დასაფინანსებლად;

ვინაიდან, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების თანახმად (როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული), პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ითავეს საჭირო დახმარების გაწევა საპროექტო ორგანიზაციისათვის;

ვინაიდან, ბანკი აწარმოებს ტექნიკური თანამშრომლობის ფინანსური სახსრების გრანტის საფუძველზე უზრუნველყოფის ორგანიზებას, რათა დახმარება გაუწიოს პროექტის ზოგიერთი ნაწილის განხორციელებას;

ვინაიდან, ათასწლეულის გამოწვევა საქართველო (MCG) უზრუნველყოფს გრანტს 8,800,000 აშშ დოლარის ოდენობით რათა დახმარება გაუწიოს პროექტის ნაწილი 1-ის განხორციელებას, MDF-სა და MCG-ის შორის

გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ("ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს საგრანტო ხელშეკრულება")

ვინაიდან, ევროკავშირი უზრუნველყოფს გრანტს 800,000 ევროს ოდენობით, რათა მონაწილეობა მიიღოს პროექტის დაფინანსებაში, ევროკავშირსა და ბანკს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ("ევროკავშირის საგრანტო ხელშეკრულება").

ვინაიდან, ბანკი, ზემოაღნიშნულის (და ასევე სხვა პირობათა) საფუძველზე თანხმობას აცხადებს გასცეს სესხის მიმღებზე 1,500,000 ევროს ოდენობის სესხი, იმ პირობებით, რომელიც მოცემულია ან მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და საპროექტო ორგანიზაციასა და ბანკს შორის გაფორმებულ საპროექტო ხელშეკრულებაში ("საპროექტო ხელშეკრულება" სტანდარტული პირობების თანახმად).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I - სტანდარტული პირობები; განსაზღვრებები;

პუნქტი 1.01. სტანდარტული პირობების გათვალისწინება

ბანკის 2007 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ ბანკის "სტანდარტული პირობების" დებულებები სრულად გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და გამოიყენება ისეთივე ძალითა და მნიშვნელობით, როგორც იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებაში იქნებოდა ჩამოყალიბებული, ქვემოთ მოყვანილი მოდიფიკაციების გათვალისწინებით (ამგვარ მოდიფიცირებულ დებულებებს, შემდგომში "სტანდარტული პირობები " ეწოდება).

(ა) ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სტანდარტული პირობების პუნქტი 3.05 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

<u>"პუნქტი 3.05. ვალდებულების და ადმინისტრირების გადასახადი</u>

სესხის მიმღები ბანკს გადაუხდის ვალდებულების გადასახადს სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრული განაკვეთის შესაბამისად, რომელიც გადასახდელია ხელმისაწვდომი თანხის ჯამზე დამატებული სესხის ის თანხა, რომელზეც დაკისრებულია *ანაზღაურების ვალდებულება* და ჯერ არ არის ათვისებული, იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულების გადასახადი, რომელიც გადახდილი უნდა იქნას სესხის იმ თანხაზე

რომელზეც დაკისრებულია უპირობო *ანაზღაურების ვალდებულება*, წლიური 0.5%-ით მეტი უნდა იყოს ვიდრე სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების გადასახადი. ვალდებულების გადასახადის დარიცხვა დაიწყება სასესხო ხელშეკრულების თარიღიდან ასოცი (120) დღის შემდეგ, ან ვალდებულების გადასახადის შემთხვევაში, რომელიც გადახდილი უნდა იქნას სესხის იმ თანხაზე რომელზეც დაკისრებულია უპირობო *ანაზღაურების ვალდებულება*, - ამგვარი უპირობო ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის თარიღიდან, და მისი დარიცხვა და გამოთვლა უნდა ხორციელდებოდეს იგივე პრინციპით, როგორც საპროცენტო განაკვეთი 3.04(ბ)(ii) პუნქტის მიხედვით. ვალდებულების გადასახადის გადახდა უნდა ხდებოდეს საპროცენტო თანხის გადახდის თარიღში (მიუხედავად იმისა, არის თუ არა გადასახდელი საპროცენტო თანხა იმ თარიღისათვის) დაწყებული ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ საპროცენტო თანხის გადახდის პირველი თარიღიდან.

პუნქტი 1.02. განსაზღვრებები

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ნაწილში (პრეამბულისა და დანართების ჩათვლით), თუ სხვა რამე არ იქნება განსაზღვრული, ან კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, პრეამბულაში განსაზღვრულ ტერმინებს გააჩნიათ მათთვის პრეამბულაში მინიჭებული სათანადო მნიშვნელობები,; სტანდარტულ პირობებში განსაზღვრულ ტერმინებს გააჩნიათ მათთვის სტანდარტულ პირობებში მინიჭებული სათანადო მნიშვნელობები; ხოლო ქვემოთმოყვანილ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

"სესხის მიმღების უფლებამოსილი წარმომადგენელი"	გულისხმობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს სახელით ფინანსთა მინისტრის მიერ სათანადოდ უფლებამოსილ და ბანკისათვის სათანადო შეტყობინებით განცხადებულ ნებისმიერ პირს.

კორპორაციული განვითარებისა და დახმარების პროგრამა ქალაქისათვის ("CDCSP")	გულისხმობს პროგრამას, რომელიც განსაზღვრულია (i) საპროექტო ორგანიზაციის ფინანსური, მართვისა და პრაქტიკული შესრულების გასაუმჯობესებლად (ii) ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის, რათა მან განახორციელოს თავის მოვალეობები პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების თანახმად.
"ფისკალური წელი"	გულისხმობს სესხის მიმღების ფისკალურ წელს, რომელიც იწყება ყოველი წლის 1 იანვარს.
"ლარი"	გულისხმობს საქართველოს ოფიციალურ ვალუტას
"ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულება"	გულისხმობს ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულებას, რომელიც უნდა გაფორმდეს საპროექტო ორგანიზაციას (როგორც სესხის მიმღებს), ბორჯომის მუნიციპალიტეტს (როგორც გარანტორს) და სესხის მიმღებს (როგორც სესხის გამცემს) შორის 3.01(ა) პუნქტის თანახმად, ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით და რომელიც დროდადრო შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას.
"პრიორიტეტული საინვესტიციო პროგრამა" ანუ "PIP"	გულისხმობს საინვესტიციო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალური წყლისმომარაგების სისტემის დაფინანსებას ბორჯომის მუნიციპალიტეტში.
"პროექტის განმახორციელებელი სააგენტო"	გულისხმობს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს, რომელიც, სესხის მიმღების წარდგენით, საპროექტო ორგანიზაციის მიერ ინიშნება საპროექტო ორგანიზაციისთვის პროექტის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში დახმარების გაწევის მიზნით.

"პროექტის განხორციელების გეგმა"	გულისხმობს პროექტის განხორციელების გეგმას, რომელიც თან ერთვის საპროექტო ხელშეკრულებას, როგორც დანართი 1.
"პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება"	გულისხმობს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღში ან უახლოეს თარიღში ხელმოწერილ ხელშეკრულებას ბანკს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტს შორის, რომელიც განსაზღვრავს გარკვეული დახმარების ვალდებულებებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხრიდან, და რომელიც შესაძლოა დროდადრო დაექვემდებაროს ცვლილებებს.
"წესდება"	გულისხმობს საპროექტო ორგანიზაციის დამფუძნებელ აქტს.

პუნქტი 1.03. ინტერპრეტაცია

წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითება კონკრეტულ მუხლზე, პუნქტზე ან დანართზე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, განიმარტება, როგორც მითითება ამ ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლზე, პუნქტზე ან დანართზე.

მუხლი II - სესხის ძირითადი პირობები

პუნქტი 2.01. თანხა და ვალუტა

ბანკი თანახმაა გასცეს სესხი 1,500,000 ევროს ოდენობით სესხის მიმღებზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ან მითითებული პირობებით.

პუნქტი 2.02. სესხის სხვა ფინანსური პირობები

(ა) მინიმალური ტრანშის თანხა შეადგენს 100,000 ევროს.

(ბ) წინსწრებით დაფარვის მინიმალური თანხა შეადგენს 200,000 ევროს.

(გ) სესხის გაუქმების მინიმალური თანხა შეადგენს 200,000 ევროს.

(დ) საპროცენტო თანხის გადახდის დღეები - ყოველი წლის 20 მაისი და 20 ნოემბერი.

(ე) (1) სესხის მიმღები სესხს დაფარავს 24 ტოლი (ან შეძლებისდაგვარად თითქმის ტოლი) ნახევარწლიანი შენატანების სახით, ყოველი წლის 20 მაისსა და 20 ნოემბერს, სესხის დაფარვის პირველი თარიღია 2011 წლის 20 ნოემბერი, ბოლო თარიღი კი – 2023 წლის 20 მაისი.

(2) ზემოხსენებულის მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი გადასახდელი თანხები შემცირდება პროპორციულად იმ შემთხვევაში თუ (i) სესხის მიმღებს არ ექნება ჩამორიცხული სესხის მთლიანი თანხა სესხის დაფარვის პირველ თარიღამდე, რომელიც 2.02(ე) პუნქტში არის მითითებული, და (ii) ბანკი არ გააგრძელებს თანხების ათვისების ბოლო ვადას,. ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ (i) სესხის მიმღებს არ ექნება ჩამორიცხული სესხის მთლიანი თანხა სესხის დაფარვის პირველ თარიღამდე, რომელიც 2.02 (ე) პუნქტში არის მითითებული, და თუ (ii) ბანკი გააგრძელებს ქვემოთ, 2.02(ვ) პუნქტში, მითითებულ თანხების ათვისების ბოლო ვადას, რომელიც დადგება აღნიშნული სესხის დაფარვის პირველი თარიღის შემდეგ, მაშინ, ყოველი თანხა, რომლის ჩამორიცხვა მოხდება სესხის დაფარვის პირველ თარიღში ან მის შემდეგ, სესხის დაფარვის დროს თანაბრად განაწილდება სესხის დაფარვის რამოდენიმე თარიღზე, რომელიც დადგება აღნიშნული ჩამორიცხვის თარიღის შემდეგ (ბანკი თავის მხრივ საჭიროებისამებრ გადაანაწილებს თანხებს რათა ყოველი შემთხვევისათვის მიღებულ იქნას მთლიანი ციფრები). ბანკი პერიოდულად შეატყობინებს სესხის მიმღებს ამგვარი გადანაწილების შესახებ.

(ვ) თანხების ათვისების ბოლო ვადას წარმოადგენს 2011 წლის 19 ნოემბერი, ან უფრო გვიან, თუ ბანკი თავისი ნებით დააწესებს და შეატყობინებს სესხის მიმღებს.

(ზ) ვალდებულების გადასახადის განაკვეთი წლიურ 0.5%-ს შეადგენს.

(თ) სესხის საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია.

პუნქტი 2.03. თანხების ჩამორიცხვა

ხელმისაწვდომი თანხების პერიოდულად ჩამორიცხვა უნდა ხორციელდებოდეს დანართი 2-ის პირობების შესაბამისად, რათა დაფინანსდეს (1) გაწეული დანახარჯები (ან, ბანკის თანხმობის შემთხვევაში გასაწევი ხარჯები) რომელიც მოიცავს პროექტისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოების და მომსახურების რეალურ ღირებულებას, და (2) ადმინისტრირების გადასახადი.

პუნქტი 2.04. უფლებამოსილი წარმომადგენელი ტრანშისათვის

საპროექტო ორგანიზაციის დირექტორი და MDF-ის აღმასრულებელი დირექტორი (როგორც პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს ხელმძღვანელი) ერთობლივად (და არა ინდივიდუალურად) ინიშნებიან სესხის მიმღების უფლებამოსილ წარმომადგენლად წინამდებარე ხელშეკრულების 2.03 პუნქტის და სტანდარტული პირობების 3.01 და 3.02 პუნქტების მიხედვით საჭირო ან დაშვებული ქმედებების განხორციელების მიზნით.

მუხლი II – პროექტის განხორციელება

პუნქტი 3.01 პროექტის სხვა მტკიცებითი პირობები

სტანდარტული პირობების IV და V მუხლებში მოცემული ძირითადი ვალდებულებების გარდა, თუ ბანკთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, სესხის მიმღები:

(ა) ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად, გასცემს საპროექტო ორგანიზაციაზე სესხის თანხებს ბანკისათვის მისაღები პირობებით;

(ბ) გამოიყენებს თავის უფლებებს ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულების ფარგლებში იმგვარად, რომ დაიცვას საპროექტო ორგანიზაციისა და ბანკის ინტერესები, შეესატყვისებოდეს ამ ხელშეკრულების პირობებს და განახორციელოს ის მიზნები, რისთვისაც სესხი იქნა გაცემული;

(გ) ბანკთან შეთანხმების გარეშე არ განსაზღვრავს, შეცვლის, გააუქმებს, შეწყვეტს ან უარს იტყვის ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულების არცერთ პირობაზე;

(დ) შეეცდება შექმნას ყველა პირობა, იმისათვის, რომ საპროექტო ორგანიზაციამ შეასრულოს ყველა ნაკისრი ვალდებულება საპროექტო ხელშეკრულების ფარგლებში, იმ მოვალეობების ჩათვლით, რაც დაკავშირებულია:

(1) პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს დანიშვნასთან, საპროექტო ხელშეკრულების 2.03 პუნქტის თანახმად;

(2) პროექტით გათვალისწინებული საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვასთან, საპროექტო ხელშეკრულების 2.04 პუნქტის თანახმად, უფრო კონკრეტულად კი, სტანდარტული პირობების 4.03 პუნქტში განსაზღვრული პირობების მიზნებისათვის, საპროექტო ორგანიზაციის მიერ სესხის თანხიდან დასაფინანსებელ საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვებს, თუ ბანკთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, არეგულირებს ქვემოთმოყვანილი პირობები, :

(ა) საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვა (საკონსულტაციო მომსახურების გარდა, რომელიც საპროექტო ხელშეკრულების 2.04(გ)-ში არის შეტანილი) უნდა მოხდეს ღია ტენდერების მეშვეობით;

(ბ) საპროექტო ხელშეკრულების 2.04(ა) პუნქტის მიზნებისათვის, ღია ტენდერის პროცედურები მოცემულია EBRD-ის შესყიდვების წესების მე-3 თავში;

(გ) საპროექტო ორგანიზაციის მიერ პროექტის განხორციელების დასახმარებლად ასაყვანი კონსულტანტების შერჩევა განხორციელდება EBRD-ის შესყიდვების წესების მე-5 თავში მოცემული პროცედურების შესაბამისად;

(დ) ყველა კონტრაქტი დაექვემდებარება წინასწარი განხილვის პროცედურებს, რომელიც EBRD-ის შესყიდვების წესების დანართში 1 არის მოყვანილი.

(3) გარემოსდაცვით საკითხებთან, საპროექტო ხელშეკრულების 2.05 პუნქტის შესაბამისად;

(4) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო კონსულტანტების სამუშაოზე აყვანასთან და მათ გამოყენებასთან, საპროექტო ხელშეკრულების 2.06 პუნქტის თანახმად;

(5) პროექტის განხორციელების გეგმის შესრულებასთან, საპროექტო ხელშეკრულების 2.01(ა)(1) პუნქტის თანახმად;

(6) პროექტთან და საპროექტო ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ანგარიშების მომზადებასა და წარმოდგენასთან, საპროექტო ხელშეკრულების 2.07 პუნქტის თანახმად;

(7) პროცედურების, აღრიცხვისა და ანგარიშების წარმოებასთან, ფინანსური უწყისების მომზადებასთან, აუდიტთან და ბანკისათვის წარდგენასთან, პროექტთან ან საპროექტო ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებასთან ბანკისათვის, საპროექტო ხელშეკრულების 3.01 პუნქტის თანახმად; და

(8) შესაბამისობაში ყველა შეთანხმებასთან, რომელიც ეხება პროექტს და საპროექტო ორგანიზაციის ფუნქციონირების ფინანსურ და საოპერაციო ასპექტებს, საპროექტო ხელშეკრულების 3.02, 3.03 და 3.04 პუნქტების თანახმად.

(ე) შეეცდება შექმნას ყველა პირობა, იმისათვის, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და ბორჯომის მუნიციპალიტეტმა შეასრულონ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ყველა ვალდებულება;

(ვ) წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის კანდიდატურას საპროექტო ორგანიზაციის მიერ პროექტის განმახორციელებელ სააგენტოდ დასანიშნად, საპროექტო ხელშეკრულების 2.03 პუნქტის შესაბამისად, ბანკისათვის მისაღები ტექნიკური დავალების თანახმად;

(ზ) უზრუნველყოს ყველა საჭირო ზომის მიღება იმისათვის, რომ საპროექტო ორგანიზაციამ შესაფერის დონეზე შეინარჩუნოს საოპერაციო და მოვლა-შენახვის ხარჯები და არსებობდეს ამ ხარჯების დასაფარავად საჭირო სახსრები.

მუხლი IV - შეჩერება; სესხის დაფარვის პერიოდის შემცირება

პუნქტი 4.01. შეჩერება

სტანდარტული პირობების 7.01(ა)(xvii) პუნქტის მიზნებისთვის განსაზღვრულია შემდეგი:

(ა) სესხის მიმღების ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური წყალმომარაგების მომსახურების სექტორის საკანონმდებლო და მარეგულირებელი სისტემა შეიცვლება, შეჩერდება, გაუქმდება ან გადაისინჯება იმგვარად, რომ მნიშვნელოვნად შეასუსტებს საპროექტო ორგანიზაციის უნარიანობას (ბანკის მოსაზრებით) შეასრულოს საპროექტო ხელშეკრულებითა და გადასესხების და საგარანტიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

(ბ) ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან ბორჯომის მუნიციპალიტეტი ვერ შეასრულებს მათ მიერ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებას, და ასეთი ვითარება გაგრძელდება ბანკის მიერ მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნიდან ოცდაათი (30) დღის მანძილზე.

პუნქტი 4.02. სესხის დაფარვის პერიოდის შემცირება

სტანდარტული პირობების 7.06(ვ) პუნქტისათვის განსაზღვრულია შემდეგი:

(ა) სესხის მიმღების ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური წყალმომარაგების მომსახურების სექტორის საკანონმდებლო და მარეგულირებელი სისტემა შეიცვლება, შეჩერდება, გაუქმდება ან გადაისინჯება იმგვარად, რომ მნიშვნელოვნად შეასუსტებს საპროექტო ორგანიზაციის უნარიანობას (ბანკის გონივრული მოსაზრებით) შეასრულოს საპროექტო ხელშეკრულებითა და ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

(ბ) ბორჯომის მუნიციპალიტეტი ვერ შეასრულებს მის მიერ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებას, და ასეთი მდგომარეობა გრძელდება ბანკის მიერ

მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნიდან ოცდაათი (30) დღის მანძილზე.

მუხლი V – ძალაში შესვლა

პუნქტი 5.01. სესხის ძალაში შესვლის წინაპირობები

სტანდარტული პირობების 9.02(გ) პუნქტის მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილია წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის განსაზღვრული დამატებითი პირობები:

(ა) ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულება გაფორმებულია ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით, და მისი ძალაში შესვლის ან საპროექტო ორგანიზაციის მიერ თანხის მიღების უფლებისთვის საჭირო ყველა წინაპირობა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შესრულებულია,;

(ბ) საპროექტო ხელშეკრულება და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება გაფორმებულია ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით და მათი ძალაში შესვლის ყველა წინაპირობა შესრულებულია;

(გ) ევროკავშირის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმებულია და მისი ძალაში შესვლისთვის საჭირო ყველა წინაპირობა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შესრულებულია,;

(დ) ათასწლეულის გამოწვევის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმებულია და ძალაში შესვლისთვის საჭირო ყველა წინაპირობა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შესრულებულია;

(ე) ბანკს მიღებული აქვს დამაკმაყოფილებელი მტკიცებულება, იმის შესახებ, რომ საპროექტო ორგანიზაცია სათანადოდ ასრულებს საპროექტო ხელშეკრულების 3.03 პუნქტში აღნიშნულ პირობებს).

(ვ) ბანკს მიღებული აქვს დამაკმაყოფილებელი მტკიცებულება, იმის შესახებ, რომ საპროექტო ორგანიზაციის პროექტთან დაკავშირებულ დანახარჯებთან მიმართებაში ნებისმიერი სახის გადასახადების დაფინანსებისთვის საჭირო სახსრები შეტანილია შესაბამის წლიურ ბიუჯეტში, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების 2.01 (დ) პუნქტის თანახმად.

(ზ) ბანკს მიღებული აქვს დამაკმაყოფილებელი მტკიცებულება (საპროექტო ორგანიზაციისთვის გაცემული იურიდიული დასკვნა), იმის შესახებ, რომ საპროექტო ორგანიზაციას მიღებული აქვს ყველანაირი სამთავრობო უფლებამოსილება, თანხმობა, ნებართვა და ლიცენზია, რომელიც პროექტის განსახორციელებლად არის საჭირო.

პუნქტი 5.02. სამართლებრივი დასკვნები

(ა) სტანდარტული პირობების 9.03(ა) პუნქტისათვის, სამართლებრივი დასკვნა ან დასკვნები სესხის მიმღების სახელით გაიცემა იუსტიციის მინისტრის მიერ.

(ბ) სტანდარტული პირობების 9.03(გ) პუნქტისათვის, იურიდიული დასკვნა ან დასკვნები საპროექტო ორგანიზაციის სახელით გაიცემა ბანკისათვის მისაღები იურისტის მიერ, ხოლო ქვემოთმოყვანილი წარმოადგენს იმ დამატებით საკითხებს, რომელსაც ბანკისათვის წარსადგენი დასკვნა ან დასკვნები უნდა მოიცავდეს: ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულება სათანადოდ უფლებამოსილია ან ხელმოწერილია და გაფორმებულია და წარმოდგენილია საპროექტო ორგანიზაციის სახელით და იგი წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე და კანონიერ ვალდებულებას საპროექტო ორგანიზაციისათვის, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული ხელშეკრულების პირობების თანახმად..

(გ) გარდა სამართლებრივი დასკვნისა ან დასკვნებისა, რომელიც ბანკზე უნდა გაიცეს სესხის მიმღებისა და საპროექტო ორგანიზაციის სახელით, ბანკში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს (i) დასკვნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელით, ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით და გაცემული მისთვის მისაღები იურისტის მიერ, რომელიც უნდა ასახავდეს, რომ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება და ქვე-სასესხო და საგარანტიო ხელშეკრულებები სათანადოდ შესრულებულია ან ხელმოწერილია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე და კანონიერ ვალდებულებას ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული ხელშეკრულებების პირობების თანახმად და (ii) დასკვნა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელით, ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით და გაცემული ბანკისთვის მისაღები პირის მიერ, რომელიც უნდა ასახავდეს, რომ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება სათანადოდ შესრულებულია ან ხელმოწერილია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ და წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე და კანონიერ ვალდებულებას ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის.

პუნქტი 5.03. შეწყვეტა არ შესვლის შემთხვევაში

თარიღი, ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 180 დღის შემდეგ მითითებულია სტანდარტული პირობების 9.04 პუნქტისათვის. ცნობილია, რომ სტანდარტული პირობების 9.01 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ შევა ძალაში, როდესაც ბანკი სესხის მიმღებს გაუგზავნის შეტყობინებას ბანკის მიერ იმ მტკიცებულების მიღების შესახებ, რომელიც სტანდარტული პირობების 9.02 და 9.03 პუნქტების თანახმად არის მოთხოვნილი.

მუხლი VI - სხვადასხვა

პუნქტი 6.01. შეტყობინებები

ქვემოთ მოყვანილი მისამართები მითითებულია სტანდარტული პირობების 10.01 პუნქტისათვის:

სესხის მიმღების მხრიდან:

საქართველო
ფინანსთა სამინისტრო
გორგასალის ქ. 16
0114 თბილისი
საქართველო

საკონტაქტო პირი: საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

ფაქსი: +995 32 446 461

ბანკის მხრიდან:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

European Bank for Reconstruction and Development
One Exchange Square
London EC2A 2JN
United Kingdom

საკონტაქტო პირი: ოპერაციის ადმინისტრირების განყოფილება

ფაქსი: +44-20-7338-6100

რის დასტურადაც, მხარეები, თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ ამ ხელშეკრულების ხუთ ეგზემპლარს ინგლისურ ენაზე თბილისში, საქართველოში ზემოაღნიშნულ წელსა და რიცხვში.

საქართველო

_____ მიერ

სახელი გვარი: ნიკა გილაური
თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

_____ მიერ

სახელი გვარი: მაიკლს დეივი
თანამდებობა: დირექტორი კავკასიაში, ბელარუსსა და მოლდოვაში